

დერეკ პრინსი

**თვინიერების
გაღლი**

2015

THE GRACE OF YIELDING
Derek Prince

Derek Prince Ministries - International

Georgian translation published by permission of Derek Prince
Ministries - International
All rights reserved

თჰინიერების გადლი
დერეკ პრინსი

ქართული თარგმანი გამოცემულია
Derek Prince Ministries - International -ის ნებართვით.
ყველა უფლება დაცულია

ISBN: 0-88368-693-7 (ინგლისური გამოცემა)

თქვენი შენიშვნები, ან შემოთავაზებები
მოგვწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე
derekprincegeorgia@gmail.com

მოინახულეთ ჩვენი საიტი

<http://www.derekprince.com>

სარჩევი

შესავალი	-----4
თავი1 სულიერი ძალის საზომი	-----6
თავი2 უარყავი საკუთარი თავი	-----9
თავი3 ქრისტეს სული	-----12
თავი4 მზად იყავი დამორჩილდე	-----18
თავი5 აიყვანე შენი ძე	-----25
თავი6 თუ ხორბლის მარცვალი...	-----35
თავი7 უფლება მიეცი წავიდეს	-----42

შესავალი

ამ საღამოს ვგრძნობ, რომ უფალს ნებავეს გე-
საუბროთ თვინიერების მაღლის შესახებ. ახლა,
ნება მომეცით გითხრათ, რომ არსებობს შემთხ-
ვევები, როდესაც ჩვენ, როგორც ქრისტიანები,
არასოდეს არ უნდა ვიყოთ მორჩილები, დამთ-
მობები და დამყოლები. მე მჯერა, რომ ჩვენ
ეშმაკთან არასოდეს არ უნდა წავიდეთ დათ-
მობაზე, რადგან წმიდა წერილი გვეუბნება: *“წინ
აღუდექით ეშმაკს და ის გაიქცევა თქვენგან.”*
ასევე არ მჯერა, რომ ჩვენ ოდესმე ცოდვასთან
უნდა ვიყოთ დამთმობები და დამყოლები, რად-
გან რომაელთა მე-6-ე თავი გვეუბნება, რომ არ
უნდა დავუთმოთ ჩვენი ასოები ცოდვას. მაგრამ
არსებობს პრობლემური გარემოებები და სიტუა-
ციები, რომლებიც ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში და
მხოლოდ მაშინ გვარდება, როდესაც ვნებდებით.
მე მივხვდი, რომ ზრდასრულობის და მოწიფუ-
ლობის ნიშანი, რომელსაც ვეძებ საკუთარ თავში
და რომელსაც ვაფასებ სხვებში, არის ის, როდე-
საც ვიცით თუ როგორ დავთმოთ, დავნებდეთ.
სულ ახლახანს ვუსმენდი ახალგაზრდა მქადაგებ-
ელს, რომელიც ღმერთმა უხვად აკურთხა. ის
მშვენიერი ახალგაზრდაა, მას ღმერთმა ბევრი
რამ მომადლა, მაგრამ მისი ქადაგების მთავარი
თემა იყო, თუ რისი გაკეთება შეეძლო მას.
ეს ყველაფერი კარგი იყო და იყო სიმართლე,
მაგრამ მე ვიჯექი იქ და გულში ვამბობდი:
*“ძმაო, მაინტერესებს შენი ნახვა ამ ყველაფრის
ბოლოს.”* რადგან არსებობს “ადგილი“, სადაც
შეიძლება აღმოვჩნდეთ უფალში და სადაც მივხ-
ვდებით, რომ ჩვენი შესაძლებლობები ამოიწურა.
მე არ ვლაპარაკობ იმის შესახებ,

რისი გაკეთებაც შეგვიძლია ფიზიკური უნარების ან განათლების მეშვეობით, არამედ ჩვენს მსახურებაშიც კი, რომელიც ღმერთმა მოგვანდო, ვალწევთ ისეთ მდგომარეობას, და ეს ღმერთის მიერაა გამიზნული, როდესაც აღარაფერი შეგვიძლია. ბევრი ადამიანის პრობლემა ისაა, რომ მათ არ შეუძლიათ ამ მდგომარეობის ამოცნობა. რასაც მე დღეს ვამბობ, არის ღმერთთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგი და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს ჯერ არ დაუსრულებია ეს ურთიერთობები. მე მინდა მოგიყვანოთ რამდენიმე მუხლი წმიდა წერილიდან და შემდეგ რამდენიმე ილუსტრაცია.

თავი 1 სულიერი ძალის საზომი

პირველი ადგილი, რომელიც მსურს რომ წაიკითხოთ არის რომაელთა 15:1;

“ხოლო ჩვენ, ძლიერთ, გვმართებს ვზიდოთ უსუსურთა უძღურება და არ ვეძებოთ საკუთარი თავის სიამე.”

მე მჯერა, რომ ეს წერილისეული სიძლიერის ნიშანია და არა ის, რამდენის გაკეთება შეგიძლიათ. უმთავრესია ის, სხვაში რამდენი სისუსტის ატანა შეგიძლიათ. ყველას სიამოვნებს და კმაყოფილებას გვრის სიძლიერის განცდა საკუთარ შესაძლებლობებში, საკუთარ მსახურებაში, საკუთარ გამოცდილებაში, როდესაც ის ადამიანი ხარ, რომელსაც ყველა პასუხი აქვს, მაგრამ სინამდვილეში ეს ყველაფერი არ მოითხოვს დიდ სულიერ სიძლიერეს. მართლა რაც მოითხოვს სულიერ სიძიერეს, ეს არის - სხვების სისუსტეების, უძღურებების ზიდვა. მე მჯერა, რომ სულიერი სიძლიერე განისაზღვრება ღმერთის და წერილის მიერ იმდენად, რამდენადაც შეგვიძლია სხვა ადამიანების დახმარება და მათი უძღურებების ზიდვა, ჩემთვის ეს იოლი არასოდეს ყოფილა. პავლე ამბობს: *“ხოლო ჩვენ, ძლიერთ, გვმართებს ვზიდოთ უსუსურთა უძღურება და არ ვეძებოთ საკუთარი თავის სიამე.”*

ხედავთ, ეს ამქვეყნიური სულისკვეთების საპირისპიროა. ამქვეყნიური პრინციპია-მოიპოვე ყველაფერი შენთვის, რაც შეგიძლია, უძღურებმა თვითონ მიხედონ საკუთარ თავს.

ახლახანს ვფიქრობდი ისეთ მოვლენაზე, როგორ იცაა აბორტი, რომელიც ჩემი თვალსაზრისით ყველაზე საშინელი, საზარელი ბოროტებაა,

მაგრამ როდესაც ადამინებს ელაპარაკები, ისინი ამას იმით ამართლებენ, რომ არასასურველი ბავშვების ამქვეყნად არმოვლინებით შესაძლებელია არასოდეს დაიბადნონ უკანონო შვილები, პრობლემური ოჯახების და ცუდი დედების შვილები. ჩვენ მათ საშოდან გამოსვლამდე ვანადგურებთ. გამოცდილებიდან ვისწავლე, რომ იმის მიუხედავად, თუ რას იტყვის ამაზე უმაღლესი სასამართლო ან ნებისმიერი სხვა, ღმერთი ამას განიხილავს როგორც მკვლელობას და ეს ნათლად არის განხილული წერილში

მინდა მიგიითითოთ იმაზე, რომ თუ სიმართლის საზომად იმას ვაქცევთ, რაც ჩვენ გვანყობს, ვდგებით დაღმავალ, მოლიპულ ბილიკზე, რომელიც საშინელ არეულობამდე მიგვიყვანს.

მაშინვე გრძელდება: “რას იტყვით ბავშვზე, რომელიც უიმედოდ, უნარშეზღუდული დაიბადა და რომელიც მთელი ცხოვრება მცენარესავით იქნება? რატომ უნდა ვაცოცხლოთ ასეთი ბავშვი.“ კალიფორნიის შტატში სასამართლოს ქვედა ინსტანციებს უკვე აქვთ საქმე მშობლების შესახებ, რომლებიც შეგნებულად არ აჭმევდნენ ბავშვს, რომელიც უიმედოდ უნარშეზღუდული დაიბადა. მათ უბრალოდ ხელი შეუწყეს მის სიკვდილს. თუ ასეთ საქმეს ჰქონდა ადგილი, შემდეგში იქნება ასაკიანების, მენტალურად დაავადებულების და სხვების საქმეები და ყოველ მათგანს გაამართლებენ ჰუმანურობის თვალსაზრისით. მინდა მიგიითითოთ, რომ ეს არ არის ქრისტიანული პასუხი. არ არის ქრისტიანული პასუხი არა უბრალოდ იმიტომ, რომ აბორტი ღმერთის მიერ არის აკრძალული, არამედ იმიტომ, რომ ამის უკან სრულიად არაქრისტიანული მიდგომაა. ჩვენ კი არ უნდა “ჩამოვწეროთ“

სუსტები და უძლურები, ან გადავებაროთ რომელიმე დაწესებულებას, სადაც ვერც გავიგებთ მათ შესახებ და არც ჩვენი მოსავლელები იქნებიან ოდესმე. პირველ საუკუნეში ქრისტიანების ერთერთი გამორჩეული ნიშანი იყო მზრუნველობა უძლურებზე. ისინი სუსტებზე და უძლურებზე ზრუნავდნენ, არ იშორებდნენ მათ თავიდან. ეს მართლაც შთამბეჭდავი იყო ძველი სამყაროსთვის. ისინი ვერ იგებდნენ, რა აიძულებდათ ამ ქრისტიანებს ეზრუნათ ხალხზე, რომლებსაც მათთვის შესათავაზებელი არაფერი ჰქონდათ. ისინი ხომ მხოლოდ პასუხისმგებლობას წარმოადგენდნენ მათთვის. მაგრამ მივედი იმ დასკვნამდე, რომ თუ თავიდან იშორებთ ადამიანებს და მათზე პასუხისმგებლობას, ეს სისუსტეა.

სწორედ ხალხია ზედმეტი პასუხისმგებლობის ტვირთი, სუსტი, უუნარო, რწმენაში უძლური ხალხი, ვინც ცდის ჩვენს სულიერ სიძლიერეს. შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებშიც, ჩვენ აშკარად მივედით იმის შემეცნებამდე, რომ ველარ მივცემთ თავს უფლებას, ვიცხოვროთ ამქვეყნიური, დამკვიდრებული სტანდარტების თანახმად. თუ ქრისტიანი ვარ, ჩემი მოტივაცია არ არის თავის არიდება, თუნდაც კანონიერად შემეძლოს ამის გაკეთება. ჩემი მოტივაციაა ვაკეთო ის, რაც იესოს სურს რომ ვაკეთო. თუ კი გადაწყვეტთ იცხოვროთ იესოს საამებლად და მოძებნოთ საამისოდ გზები და საშუალებები, თქვენი ცხოვრება სრულიად განსხვავებული იქნება ურწმუნოთა ცხოვრებისგან, რომლებიც თქვენს გარშემო არიან. თქვენ არ მოგიწევთ სწავლებებზე საუბრები და ქადაგება, უბრალოდ განსხვავებული იქნებით.

თავი 2
უარყავი საკუთარი თავი

პავლე ამბობს, რომ არ უნდა ვეძებოთ საკუთარი თავის სიამე. იცით რა ვისწავლე? ვისწავლე, რომ როდესაც ვაკეთებ რაიმეს, რაც ღმერთისთვის ეფექტური და მისაღებია, ვიწყებ იმით, რომ საკუთარ თავს არ ვაამებ. აღმოვაჩინე, რომ ეს უცვლელი წესია. ყოველთვის, როდესაც საკუთარ თავს ვაამებ, ისეთს ვერაფერს ვაკეთებ, რაც ღმერთისთვის ღირებულა. პირველი, რაც უნდა გავაკეთო, საკუთარი თავი უნდა უარყვო. ის ეგო ჩემში, რომელიც ყოველთვის ვლინდება და მეუბნება “მე მინდა, მე მსურს, მე ვგრძნობ, მე ვფიქრობ, მე თუ მკითხავ, ესაა რაც მომწონს“, ეს უნდა იყოს უარყოფილი. მე უნდა ვთქვა “არა.“ ძნელი არაა იმის გაგება, რას ნიშნავს საკუთარი თავის უარყოფა. უარყოფა ნიშნავს უარის თქმას. ერთადერთი, რაც უნდა გავაკეთოთ, საკუთარ თავს უნდა უთხრათ - არა. თუ საკუთარ თავს არ ეუბნებით არას და არ განაგრძობთ არას თქმას კვლავ და კვლავ, ვერ იცხოვრებთ ქრისტიანული ცხოვრებით. ვერ იქნებით საკუთარი თავის მამებელიც და ქრისტეს მამებელიც. ეს შეუძლებელია.

ლუკას 9:23; ეს არის იესოს სიტყვები:
“ყველას კი უთხრა: „ვისაც სურს გამომეყვას მე, (ეს არის სრულიად უნივერსალური) უარყოს თავისი თავი, იტვიროს ყოველდღე თავისი ჯვარი და გამომეყვას მე.“

რა არის პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, როცა გადაწყვეტთ გაყვით იესოს? პირველი ნებიჯი, რის გაკეთების უფლებას აძლევთ მას?

უნდა უარყოთ საკუთარი თავი. ვერ გაყვებით იესოს, ვიდრე ამ გადანყვეტილებას არ მიიღებთ. შემდეგ ნათქვამია - იტვირთოს ყოველდღე თავისი ჯვარი. დიდი ხნის მანძილზე არ მომწონდა ეს სიტყვა “ყოველდღე“. მე გვერდს ვუვლიდი ამ მუხლს ლუკას 9 თავში იმიტომ, რომ ვიცოდი სხვა მუხლი, სადაც არ იყო ნათქვამი “ყოველდღე“, ეს მათეს 16:24; იყო, თუ გაინტერესებთ. იქ არ არის ეს სიტყვა ნახსენები.

იმ დროს ჩემი თეოლოგია და სწავლება ეფუძნება ერთჯერად, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ მიღებულ გამოცდილებას ჯვრის შესახებ, რომელიც სრულიად მართებული და თეოლოგიური იყო, მაგრამ ამომწურავი არა.

იესომ საიდუმლო ჩადო ამ პატარა სიტყვა “ყოველდღე“-ში. აიღოს ყოველდღე თავისი ჯვარი. მჯერა, რომ ყოველი დღე აძლევს ყველა ქრისტიანს შესაძლებლობას - აიღოს თავისი ჯვარი. თუ იყენებთ ამ შესაძლებლობას, გამარჯვების დღე გაქვთ. თუ კარგავთ ამ შესაძლებლობას, დამარცხების დღე გქონიათ.

მაშ რა არის თქვენი ჯვარი? მე მოვისმინე, ჩარლზ სიმპსონი ამბობდა ამას და მართლაც კარგი ნათქვამია, *“შენი ჯვარი არის ის, სადაც შენი ნების და ღმერთის ნების გადაკვეთა ხდება.“* შენი ჯვარი ის არის, სადაც შეიძლება მოკვდე. ეს ის ადგილია, სადაც შეიძლება შენ სიცოცხლე დადო. როდესაც იესო მიდიოდა ჯვარზე, მან თქვა *“ვერაჲინ წამართმევს ჩემს სიცოცხლეს, არამედ მე თვითონ ვდებ მას. მაქვს ხელმწიფება მის დასადებად და მაქვს ხელმწიფება კვლავ მის მისაღებად.“* ამ თვალსაზრისით, ვერაჲინ წაგართმევთ თქვენს სიცოცხლეს. თუ თქვენ არ დადებთ მას ნებაყოფლობით,

მისით იქნებით გაკონტროლებული.

ჩემო ძვირფასო ძმაო, თქვენი ჯვარი, არ არის თქვენი ცოლი. ვიდრე არ გექნებათ ძალაუფლება დათმობით ის და დღითიდღე მოიპოვოთ კვლავ. ძვირფასო ქალბატონო, ასევე არც თქვენი ქმარია. თქვენი ჯვარი. არის ადგილი, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ გადანყვეტილება, არ აამოთ საკუთარ თავს. უნდა გითხრათ, რომ დროთა განმავლობაში, რაც უფრო და უფრო მეტად ვებრძოდი საკუთარ თავს და ვიღებდი ამ სწორ გადანყვეტილებას, ამას მეტი სიკეთე მოჰყვებოდა. მე შემიძლია ვიმსახურო. მე ვერ შევძლებ მსახურებას მაშინ, როდესაც საკუთარ თავს ვაამებ. ძველ ეგოს, ჩემს შინაგანში, არაფერი აქვს სხვებისთვის გასაცემი. ამას თავი უნდა გაერთვას მანამ, სანამ ღვთის რაიმე მსახურება გამოვლინდება ჩემი ცხოვრებიდან.

თან იესომ თქვა, უკეთესია ეს ყოველდღე აკეთოთო. ძალიან, ძალიან ბევრჯერ მე და თქვენ მივდივართ იმ სიტუაციამდე, როცა ერთ დღესაც ღმერთის და ჩვენი ნება ერთმანეთს კვეთს. ჩვენ ეს უნდა აღვიქვათ, როგორც შესაძლებლობა, არა კატასტროფა, არამედ შესაძლებლობა. ერთ რამეში შემიძლია დაგარწმუნოთ, თუ თქვენ გიქადაგებთ ამ თემას, მე მექნება უამრავი შესაძლებლობა, რომ ეს ყველაფერი პრაქტიკაში გავატარო შემდეგი რამდენიმე დღის მანძილზე, ეს ვიცი. ორივე, ღმერთიც და ეშმაკიც დააკვირდება ამას. სინამდვილეში, მინდა გითხრათ, მე კარგად დავფიქრდი, ვიდრე ამას გიქადაგებდით. ძალიან კარგად მესმის, რომ მე გამოვიცდები ჩემი სწავლების საფუძველზე.

თავი 3 ქრისტეს სული

ხედავთ? ეს არის სრულიად სანინაალმდეგო იმის, თუ როგორ მოქმედებს ჩვენი ბუნებრივი გონება. ეს რიგითი ადამიანის აზროვნების სრულიად დადიამეტრალურად სანინაალმდეგოა.

მსურს შემოგთავაზოთ წერილის ერთი-ორი სხვა ადგილი, რომლებიც ჩემთვის გამონწვევაა და გამოსაკვლევი მგონია. 1 კორინთელთა 1:25; ვითარების აღწერის გარეშე:

“რადგან ღმერთის უგუნურება ადამიანებზე უბრძენესია და ღმერთის უძლურება - ადამიანებზე უძლიერესი.”

ეს პარადოქსია, მაგრამ არსებობს სისუსტეები, რომლებიც ღმერთისგან მოდის და იმაზე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი ძალა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. არსებობს უგუნურება, რომელიც ღმერთისგანაა, რომელიც გაცილებით უფრო დიდი სიბრძნეა, ვიდრე რომელიმე სხვა სიბრძნე, რაც გაგვაჩნია. მაგრამ იყო ისეთი რამ, რაშიც ღმერთში გაუგუნურებამ და სისუსტემ სრული გამოხატვა ჰპოვა, რა იყო ეს? ჯვარი, მართალია. ჯვრის უგუნურებასა და სისუსტეში ღმერთმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა ქვეყნიერების მთელს ძალაუფლებაზე და სიბრძნეზე. მჯერა, რომ ღმერთი ჩვენც გვთხოვს ვისწავლოთ მსგავსი სისუსტე და მსგავსი უგუნურება. არასოდეს არ მქონდა მცდელობა ვყოფილიყავი ძლიერი პიროვნულად. ღმერთი აკურთხებდა და იყენებდა იმ ძალას, რაც გამაჩნდა, მაგრამ ღმერთმა მაჩვენა, რომ ამას ჩემი მხოლოდ აქამდე მოყვანა შეეძლო. ეს საკმაოდ კარგია, მე შემძლია ამაზე გაჭიერდე,

სადამდეც მოვალნიე. ბევრი ცხოვრება და მსახურება მინახავს, რომელიც ამ წერტილზე გაჩერდნენ. დღეს ვისაუბრებ, ცოტა მოგვიანებით, მსახურების შესახებ და იმ არჩევანის შესახებ, რომელიც ყველა მსახურების წინ დგება ხოლმე.

მინდა მოგიყვანოთ სხვა ადგილი წერილიდან, ეს არის რომაელთა 8:9; ახლა მინდა ამ მუხლის მხოლოდ მეორე ნახევარი წავიკითხო. ძალიან უცნაური მუხლია, რადგან მუხლის შუაში მას პერიოდი აქვს. რატომ მოაქციეს ეს ორი წინადადება ერთ მუხლში არ ვიცი და ალბათ ვერც გავიგებ, სანამ თარჯიმნებს არ შევხვდები იმქვეყნად. მე რომ დამეწერა რომაელთა მერვე თავი, აქ აზრს გავუკეთებდი. ეს სულ სხვა აზრს შესქენდა. ახლა არ მინდა მოგაბეზროთ თავი ჩემი თეოლოგიით, მაგრამ მე არ ვაიგივებ სულიწმიდას ქრისტეს სულთან. მჯერა, რომ აქ არსებობს გამიზნული ანტითეზა. მუხლის პირველი ნაწილი ამბობს:

“თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღვთის სული (რომელიც მნამს, რომ სულიწმიდაა) ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.”

განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ღმერთის შვილი ხარ არის ის, რომ ქრისტეს სული გაქვს. ახლა, შეიძლება უსასრულო პრობლემები გაგიჩინოთ თქვენს თეოლოგიაში, მაგრამ მჯერა, რომ არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც მინათლულნი არიან სულიწმიდაში, ლაპარაკობენ ენებით, სასწაულებს ახდენენ და მაინც, ძალიან ნაკლებად ან საერთოდ არ ავლენენ არაფერს ქრისტეს

სულისას. ხოლო ნიშანი, რომელიც ჩვენ გვხდის ღმერთისებად, ენებზე ლაპარაკი არ არის. არც სასწაულების მოხდენაა და არც დიდი ქადაგებების წარმოთქმა. ეს ნიშანია ქრისტეს სულის ქონა. მნამს, რომ ქრისტეს სული არ შეიძლება განცალკევდეს იესოს ბუნებისგან და პიროვნებისგან. საკუთარ თავისთვის რომ კითხვა დამესვა - როგორია ქრისტეს სული? იძულებული ვიქნებოდი მეთქვა, ის არის თავმდაბალი სული, ის მორჩილი სულია. ის არის ფაქიზი, სათუთი სული. ეს სული, რა თქმა უნდა, არ არის ამპარტავანი ან თავხედი, არც საკუთარი თავის მაამებელი. მნამს, რომ სწორედ ეს გამოყოფს და აღბეჭდავს ღვთის შვილს, ქრისტეს სული.

ხედავთ, საკმაოდ დიდი სწავლება გვაქვს ჩვენი მემკვიდრეობის მოთხოვნის შესახებ. იმის მიღებაზე, რაც შენია. მეც ბევრი მიქადაგია ამის შესახებ და ნებისმიერ დროს შემიძლია გიქადაგოთ 3 იოანეს 2-ს თანახმად:

“საყვარელო, ვლოცულო, რომ წარმატებას აღწევდე და ჯანმრთელად იყო, როგორც შენი სული (მშვინვა) აღწევს წარმატებას.”

მადლობა ღმერთს, მე მჯერა ეს. მაგრამ იცით რა? ღმერთის თვალსაზრისით თქვენ ვერ მიაღწევთ წარმატებას საკუთარი უფლებების დამკვიდრებით. იესოს სული არასოდეს საკუთარ უფლებებზე პრეტენზიებს არ აცხადებდა. მჯერა, რომ წარმატება, ჯანმრთელობა და შინაგანი მშვიდობა, სულიერი კეთილდღეობა არის ახალი ქმნილების უფლება, მაგრამ ბევრჯერ უქმდება ძველი კაცის მიერ, მისი ეგოისტური მიზნების გამო. დღეს, როდესაც მესმის როცა ამბობენ: “ძმაო, უბრალოდ მოითხოვე ეს,” ჩემს შინაგანში რაღაც კრთის იმიტომ, რომ როცა

მესმის ეს სიტყვები “ძმაო, უბრალოდ მოითხოვე ეს,” შინაგანად ვხედავ სურათს, თუ ამპარტავანი ეგო საკუთარ უფლებებს როგორ ამტკიცებს. მსურს შეკითხვა დაგისვათ, მაგრამ ნუ მიპასუხებთ, რამდენი თქვენგანი ისურვებდა ცხოვრებას პიროვნებასთან, რომელიც ყოველთვის მხოლოდ თავისას ითხოვს? არ მინდა უხეშად გამომივიდე, რადგან ჩემი ეს შენიშვნები არავის საწინააღმდეგოდ არ არის მიმართული. შეიძლება თქვენ ასე მიიღეთ, მაგრამ ეს არ ყოფილა ჩემი მიზანი. უბრალოდ დავილაღე, შინაგანად დავილაღე იმ მემკვიდრეობის, რომელიც ქრისტეში გვაქვს, რელიგიური, ეგოისტური მოთხოვნით. მართლაც დამლაღა იმის მოსმენამ, როცა ეუბნებიან ქრისტიანებს, როგორ უნდა იყვნენ ისინი ჯანმრთელნი და წარმატებულნი. რა თქმა უნდა მათ ეს ჭირდებათ, მაგრამ, ძმებო და დებო, თუმცა ისწავლეთ, როგორ იყოთ ჯანმრთელები და წარმატებულები, თქვენ ჯერ კიდევ არ დაგიმთავრებიათ სულიერი საბავშვო ბაღი. თქვენი სიძლიერე, ძალა ის კი არაა, რაც გაგაჩნიათ ან რისი წარმოჩინებაც შეგიძლიათ. თქვენი სიძლიერე არის უნარი აიტანო, ზიღო სუსტის უძღურებები. ეს სრულიად სხვა რამეა.

ამგვარად ქრისტეს სული არის ადვილად დამთმობი, თვინიერი. მწამს, რომ ეს არის თვინიერების, დათმობის უდიდესი მაგალითი. ვიდრე ამ თემას დავხურავდე, თუ უფალი შემადლებინებს, მინდა ვისაუბრო იესოს მაგალითის შესახებ. მინდა გაჩვენოთ და დავინყო ერთი კონტრასტი. ფილიპელთა 2:6-ში ნათქვამია იესოს შესახებ:

“...ღვთის ხატება იყო და, მიტაცებად არ

თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას“

ამ თარგმანში ჟღერს ასე, მაგრამ ახალ ამერიკულ სტანდარტულ ბიბლიის თარგმანში ეს მუხლი ამბობს:

“ის არ თვლიდა, რომ ღმერთთან თანასწორობა იყო, რასაც ის უნდა მოჰქიდეოდა“

როგორც ხედავთ, ჩვენ აქ გვაქვს სრული, სპეციფიური კონტრასტი. იესოს ჰქონდა ღმერთთან თანასწორობის უფლება. ეს მას ღვთიური ბუნების გამო ჰქონდა, ღვთიური უფლება გააჩნდა. ის ამას არ ჩაეჭიდა. ლუციფერს, რომელიც სატანად იქცა, არ ჰქონდა უფლება თანასწორი ყოფილიყო ღმერთთან, მან ეს მოინდომა და დაეცა. მე ვავარჯიშებ ჩემს გონებას რომ მივხვდე, თუ რამდენად არის ჩვენს უფლებებში განმტკიცება, გამოთხოვნა და ქრისტეს სულის გამოვლინების მოთხოვნა და რამდენად არის ეს სხვა წყაროთი გამოწვეული მოქმედება. მე მართლა მჯერა, რომ ქარიზმატული მოძრაობის წინ აუცილებლად დადგება ეს პრობლემა. ხომ გესმით, ჩვენ აუცილებლად მოგვინევს გარჩევა ჭეშმარიტ და ცრუ წინასწარმეტყველებს შორის, ჭეშმარიტ და ცრუ მსახურებს შორის, მათ შორის, ვინ ემსახურება ღმერთს სულით და ჭეშმარიტებით და ვინ არა. სასწაულები არ არის გადამწყვეტი ამ გარჩევაში. განმასხვავებელი ნიშანია ქრისტეს სული. *“ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.“*

იცით, რისი მწამს ქარიზმატულ მოძრაობასთან მიმართებით? მწამს, რომ ეს მხოლოდ ინტერვალაა ორ ტალღას შორის. ერთი ტალღა უკვე ჩაცხრა და მეორე ჯერ კიდევ მოსასვლელად ემზადება. ამ შუალედში არეულობაა ხოლმე, ასე არ არის? რაღაც ქაფდება, ბევრი ჭუჭყი

და მღვრიე წყალი, რაღაც არეულობა, ორი ძალა, რომელიც სრულიად საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს, ესაა ქარიზმატული მოძრაობა. ეს არ არის ღვთიური ბოლო. მერწმუნეთ, სხვა რაღაც მოდის. ის იქნება მოწესრიგებული, დისციპლინირებული, ქრისტეს მიმართ პატივის მიმგები, ის აუცილებლად ხელს შეუწყობს ისეთი თვისებების განვითარებას, როგორცაა თვინიერება, ძმური სიყვარული და საკუთარ თავზე მეტად ერთმანეთის დაფასება. რამდენედაც შემოიძლია ვიმსჯელო, ღმერთის განსაკუთრებული რწმენის და ძალის ქრისტიანის დღე კარს არის მომდგარი. მე ამას ვამბობ ყოველგვარი კრიტიციზმის გარეშე იმ ადამიანების მიმართ, ვინც კი ოდესმე ამ წოდებისთვის მომზადებულან. მოცემულობა, რომელსაც ჩვენ უნდა შევეგუოთ, არის ის ფაქტი, რომ ღმერთი ყოველთვის ერთსა და იმავეს არ აკეთებს, იცით ეს? ხალხი აღმოაჩინს ხოლმე წარმატების ფორმულას, ის მუშაობს და ხალხიც მას სრულ ამონურვამდე და ამ ფორმულის კვდომამდე ამუშავენს. მე ვფიქრობ პავლეს ნათქვამზე ათენელების მიმართ, ვფიქრობ საქმეების 17 თავის, 30-ე მუხლის შესახებ. ის აქ მათი მრავალსაუკუნოვან კერპთაყვანისცემაზე ლაპარაკობს და ამბობს, *“ღმერთმა უგულებელყო უმეცრების ჟამი”* (“...თვალი მოხუჭა-დაახამხამა უმეცრების დროზე” - ინგლისური ვერსია). თვალის დახამხამება გულისხმობს თვალის დახუჭვას მცირე დროით. ასე რომ, ღმერთმა მცირე დროით განზრახ მოხუჭა თვალი ამ უმეცრებას. მაგრამ ის ამბობს: *“და ახლა ყველგან უბრძანებს ყველა კაცს, რომ მოინანიონ.”* ბევრი ამბობს, *“ღმერთმა მომცა უფლება ათი წლით გადავუხვიო, ასე რომ ამ გზით გავაგრძელებ.”*

არა, ასე არ არის. ღმერთმა ცოტა ხნით მოხუჭა თვალი, მაგრამ ახლა მას ორივე თვალი გახელილი აქვს და პირდაპირ უმზერს შენს მოქმედებას და გეუბნება - გირჩევნია შეიცვალო. როდესაც ღმერთი გეუბნება ჯობია შეიცვალო, ჩემი რჩევაა - შეიცვალო. ღმერთს აქვს გზები, რომ მიგითითოს და გასწავლოს.

თავი 4 ზად იყავი დამორჩილად

კარგით. ახლა მინდა შევხედოთ თვინიერების, დათმობის ზოგიერთ მაგალითს. მჯერა რაღაც საფუძველი უკვე დავდე, რადგან არსებობს სიტუაციები, რომელსაც არ უნდა დავნებდეთ და არ უნდა დავუთმოთ. ვმეფეთა 3, ამ თავის პირველ ნაწილში ღმერთი გამოეცხადა სოლომონს სიზმრად და უთხრა: *“მოხოვე რაც გინდა.”* ვფიქრობ ეს საკმაოდ რთული სიტუაციაა, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდე, როდესაც ღმერთი უეცრად გეუბნება *“აბა, რა გინდა? რაც გინდა იმას მოგცემ.”* ხომ გახსოვთ, სოლომონს არ უთხოვია სიმდიდრე, არ უთხოვია პატივი, მისი მტრების სიცოცხლე, არამედ სიბრძნე ითხოვა. მან თქვა: *“მომეცი ბრძენი და გამგები გული.”* ღმერთს მოეწონა ეს პასუხი და უთხრა მას: *“რადგან ეს მოხოვე, მე იმასაც მოგცემ, რაც არ გითხოვია.”*

ამას მოჰყვა ორი ქალის ამბავი, რომლებზეც ბიბლია ამბობს, რომ მეძავები იყვნენ და ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ორივეს გაუჩნდა შვილი. ორივე მათგანს ჩვილი ლოგინში ეწვინა. შუალამით ერთმა ქალმა ქვეშ მოიყოლა თავისი

შვილი, ზედ დასწოლოდა და მოკლა ის. ასე რომ, დილით ორ დედას მხოლოდ ერთი ჩვილი დარჩა. ორივე მათგანს ცოცხალი ბავშვი უნდოდა, ნამდვილი დედა ითხოვდა თავის შვილს. დედა, რომლის შვილიც მოკვდა, ასევე ითხოვდა ამ ბავშვს და ამტკიცებდა, რომ ის მისი იყო. ეს საქმე მიიტანეს სოლომონის წინაშე, ორი ქალის დავა ერთ ჩვილზე. სოლომონმა მოისმინა საქმე, ერთი დედა ამბობდა: *“ჩემია ბავშვი”* და მეორე ქალი ამბობდა: *“არა, ეს ჩემი ბავშვია.”* სოლომონმა თქვა: *“მხოლოდ ერთი რამაა გასაკეთებელი. მომიტანეთ მახვილი. მე ბავშვს ორად გავჭრი. ორივე თქვენგანს გერგებათ ნახევარი.”* ქალმა, რომლის შვილიც არ იყო ბავშვი, თქვა: *“კარგი, გაჭერთ ბავშვი ორად. მე ჩემი ნახევარი მომეცით.”* ხოლო ნამდვილ დედას არ სურდა თავისი შვილი მკვდარი ეხილა. მან თქვა: *“არა, მიეცით მაგას ცოცხალი ბავშვი, ოღონდ ცოცხალი იყოს.”* სოლომონმა თქვა, *“ეს არის დედა.”* მისი სიბრძნის შესახებ ცნობილი გახდა მთელს ისრაელში.

ეს გაკვეთილი ძალიან მარტივია. თუ ბავშვი მართლაც შენია, გირჩევნია ის სხვა ქალს მისცე, ვიდრე მკვდარი ნახო. ეს ნამდვილი გამოცდაა. იცით, ძალიან ბევრჯერ, ქრისტიანულ მსახურებაში ვიღაც შობს, წამოწევს ხოლმე მსახურებას, რომელიც მისია, მაგრამ ვიღაც სხვა ეცილება და ისიც თავისად აცხადებს მას. არის დავა და ბრძოლა. იმას ვგულისხმობ, რომ შემოძლია გადავხედო ბოლო 30 ან 35 წლის ისტორიას და დაგისახელოთ ყველა ეს ადამიანი და დავები. მე თეორიულად არ ვსაუბრობ. მაგრამ ნამდვილი გამოცდა ის არის, რომ თუ ეს მართლაც შენი შვილია, ამჯობინებ სხვა ქალს

გადასცე ის, ვიდრე მოკლული ნახო. ძალიან ბევრჯერ ჩვენ ვდგებით ამ გამოცდის წინაშე. პრეტენზიის განცხადება მსურს ჩემს მსახურებაზე, ჩემს წარმატებაზე? სახელი უნდა მოვიხვეჭო? თუ მზად ვარ ვინმე სხვას დავუთმო ყველაფერი ის, რისთვისაც ამდენს ვშრომობდი, რასაც მივალწიე, რის გასარღვევადაც ვლოცულობდი? იმაზეა დამოკიდებული, შენი თავი უფრო მეტად გიყვარს ვიდრე ბავშვი, თუ ბავშვი გიყვარს საკუთარ თავზე მეტად. სხვა დროს, როცა მსგავსი სიტუაციის წინ კვლავ დადგები, შეგეძლება განსაზღვრო, რამდენად ჭეშმარიტია შენი სიყვარული. თუ მზად ხარ დაუთმო ის სხვას, შენ მართლაც გიყვარს. თუ მის ნახევარს მოითხოვ, არ გყვარებია.

მინდა ცოტა ხნით აბრაამის ამბავზე გადავიდეთ. დაბადების 13 თავში აბრაამმა ქალღველთა ურიდან დაიწყო მორჩილება ღვთის სიტყვის მიმართ, მაგრამ სრული მორჩილებით არა. ძალიან საინტერესოა დაბადების 12 თავის შესწავლა, რომელსაც ახლა არ ნავიკითხავთ. ღმერთმა უთხრა: *“წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ.”* აბრაამი არ დაემორჩილა ღმერთს სრულად, რადგან მან მამამისი და თავისი ძმისწული თან წაიყვანა. არცერთის წაყვანის უფლება არ ჰქონდა მიცემული. სანამ მამამისი მასთან ერთად იყო, მხოლოდ ნახევარი გზა გაიარა. ის ხარანამდე მივიდა, რაც გზის ნახევარია, ურიდან ქანანამდე. მან ველარ გააგრძელა გზა, სანამ მამამისი არ მოკვდა. ბევრი ჩვენგანიც ასევეა. ღმერთი გეუბნება: *“გამოდი, ყველაფერი უკან მოიტოვე და მე გაჩვენებ შენ შენს მემკვიდრეობას.”* მაგრამ ჩვენ გვინდა,

რომ მამიკო გავიყოლოთ თან. მამიკო შეიძლება იყოს დენომინაცია, რომელსაც მიაკუთვნებ საკუთარ თავს, შეიძლება იყოს საპენსიო სქემა, ან რაიმე კონკრეტული სიტუაცია და ღმერთი გაფრთხილებს, სანამ მამიკო თან მიგყავს, შენ გზის მხოლოდ ნახევარს გაივლი. აბრაამსაც კი არ შეეძლო ქანაანში შესვლა, სანამ მამამისი მასთან ერთად იყო. თქვენ კითხულობთ საქმეთა 7-ე თავს, სადაც ნათქვამია: *“მამამისის სიკვდილის შემდეგ კი ის აღთქმულ მიწაზე გადასახლდა.”* მაგრამ მას კვლავაც ახლდა თან პრობლემა. მისი პრობლემა იყო ლოტი, მისი ძმისწული. ის არასოდეს არ უნდა ყოფილიყო იქ. არც თუ დიდი ხნის შემდეგ, ორივეს, აბაამის და ლოტის ქონება იმდენად გამრავლდა, იმდენი საქონელი და სხვა სიკეთე გააჩნდათ, რომ ველარ იცხოვრებდნენ გვერდიგვერდ, როგორც აქამდე იყვნენ. გამუდმებული დავა იყო მათ მწყემსებს შორის. აი რა მოხდა დაბადების 13-ე თავში, დავიწყოთ მე-7-ე მუხლიდან:

“და იყო დავა აბრაამისა და ლოტის მწყემსებს შორის. ქანაანელები და ფერიზელები სახლობდნენ მაშინ იმ ქვეყანაში. და უთხრა აბრაამმა ლოტს: “ნუ იქნება ჩემსა და შენს შორის, ჩემს და შენს მწყემსებს შორის დავა, რადგან ჩვენ ძმები ვართ. განა მთელი ქვეყანა შენს წინ არ არის? გავიყაროთ და, თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წახვალ; თუ შენ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წახვალ.”

მაშ ასე, აბრაამი იყო უფროსი, ის იყო კაცი, რომელსაც ღმერთმა მოუწოდა, ის იყო კაცი, რომელსაც მემკვიდრეობა ეკუთვნოდა. მაგრამ ის განზე გადაგა და ამბობს: *“ლოტ, შენ გააკეთე არჩევანი. რაც არ უნდა აირჩიო, შეგიძლია შენი იყოს.”*

“და ალაპყრო ლოტმა თვალები და იხილა იორდანეს მთელი ხეობა, რომელიც მთლიანად სარწყავი იყო ცოყარის მისადგომებამდე; ვიდრე უფალი მოსობდა სოდომსა და გომორას, იგი იყო როგორც სამოთხე უფლისა, როგორც ქვეყანა ეგვიპტისა. და ამოიჩია ლოტმა თავისთვის იორდანეს მთელი ხეობა, და ნავი-და ლოტი აღმოსავლეთისაკენ, და განცალკევდა კაცი თავისი ძმისაგან. და აბრაამი დაემკვიდრა ქანაანის ქვეყანას, ხოლო ლოტი დაემკვიდრა ხეობის ქალაქებში და გაშალა თავისი კარვები სოდომამდე. და მკვიდრნი სოდომისა ბოროტები იყვნენ და ძალზე სცოდავდნენ ღვთის წინაშე. და უთხრა უფალმა აბრაამს ლოტთან მისი განცალკევების შემდეგ: “ალაპყრე თვალები, და გაიხედე იმ ადგილიდან, სადაც ცხოვრობ, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. მთელს ამ ქვეყანას, რასაც ხედავ, შენ და შენს მოდგმას გაძლევეთ უკუნისამდე.”

ეს იყო მისი მემკვიდრეობა. მაგრამ ვიდრე მან არ მოინდომა ღმერთის მიმართ მინდობა, ღმერთმა არ აჩვენა მემკვიდრეობა. მანამდე, ვიდრე თქვენ ჩაფრენილი ხართ რამეს და ამბობთ: “ეს ჩემია, ამას ხელს არ გავუშვებ,” ვერ დაინახავთ რა აქვს ღმერთს თქვენთვის, რა უნდა რომ გაჩვენოთ. მხოლოდ თვინიერ, დამთმობ სულს შეუძლია მემკვიდრეობის მიღება. არა შემტევ, მომხვეჭელ სულს, რომელიც სათავისოდ ეჭიდება ყველაფერს. მანამ, სანამ ამბობთ: “ეს ჩემია, შენი კი არა. ღმერთმა ეს მე მომცა.” ვერ მიიღებთ იმას, რაც ღმერთს თქვენთვის აქვს გამზადებული. თქვენ დათმობა მოგინევთ.

ჩემი ცოლი ხშირად მიყვებოდა ამბებს, რომელიც ხდებოდა პალესტინაში ჩვენს ქორწინებამდე. იმ დროს ის ქალაქ რამალაში ცხოვრობდა, რომელიც იერუსალიმის ჩრდილოეთით, დაახლოებით ათი მილის მანძილზე მდებარეობს. თუმცა მისი ძირითადი სამუშაო ბავშვებს უკავშირდებოდა, გამოლვიძების აფეთქება იმ ქალაქის არაბ ქალებს შორის დაიწყო და ეს ყოვლისმბყრობელი ღმერთისმიერი გამოლვიძება იყო. ჩემი მეუღლე იარაღი იყო, რომელსაც ღმერთი იყენებდა. ეს ქალები შეიძლება შემოსულიყვნენ ქუჩიდან, ურწმუნო მდგომარეობაში, უცაბედად მიეღოთ გადარჩენა, დახსნა ბოროტი სულებისგან, მონათლულიყვნენ სულიწმიდით და ეს ყველაფერი ერთ მისვლაზე. ეს მსახურება იზრდებოდა და ყვაოდა, ეს იყო უფლის მონაზობა, მაგრამ მერე ერთმა მისიონერმა, რომელიც იერუსალიმში ცხოვრობდა, გადანყვიტა, რომ ეს საქმე მას სჭირდებოდა. მან გააგზავნა არაბი თანამშრომელი რომელმაც თქვა: “ეს ჩვენი საშრომია, ამ ქალაქში ჯერ კიდევ თქვენ ჩამოსვლამდე გვყავდა მშრომელი.” იმ დროს ის მისიონერი არანაირად არ ამართლებდა თავის მონაზობას და ეს სრულიად არასწორი იყო. ჩემს ცოლს კი უყვარდა და ესმოდა ამ ქალების. მე თავს უფლებას ვაძლევ ეს დავამოწმო, რადგან 25 წლის შემდეგ მე და ჩემი ცოლი ჩავედით იმ სოფელში და როდესაც იმ ქალებმა გაიგეს, რომ ჩემი ცოლი იქ იყო, ქუჩაში გამოიბოდნენ, რომ ჩემს ცოლს ჩახუტებოდნენ. მათ 25 წლის შემდეგ არ დავიწყებიათ ის. მაგრამ რადგან შეხვდა ასეთი წინააღმდეგობა, მამაკაცის ძალა გასათხოვარი ქალის წინააღმდეგ, ჩემმა მეუღლემ იგივე თქვა, რაც აბრაამმა: “კარგი, შენ

აირჩიე. თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე წავალ მარჯვნივ.“ იმ კაცმაც უპასუხა, “ეს ჩვენი საქმეა და ჩვენ გავუძღვებით.“ ასე რომ, ჩემმა ცოლმა უთხრა არაბ ქალებს: “ამიერიდან ჩვენ აღარ გვექნება მსახურებები. მსახურებები ჩატარდება ამა და ამ ადგილას, იქ წადით და იყავით ერთგულნი, მხარი დაუჭირეთ იმ მსახურებას.“ ერთ ან ორ წელიწადში ის მუშაობა სრულიად განადგურდა, ჩაკვდა, რადგან ის კაცი არ იყო ღმერთისგან მოწოდებული, ეს არ იყო მისი საშრომი ყანა. მაგრამ ჩემმა ცოლმა მოიპოვა გამარჯვება.

ამასობაში ასეთი რამ მოხდა: რამდენიმე თვეში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ბრიტანელმა და ამერიკელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მსახურობდნენ, მიაგნეს ამ პატარა სახლს რამალაში და მიდიოდნენ იქ ღმერთის ძიებაში და სულიწმიდით მოსანათლად. შემდეგი სამი თუ ოთხი წლის მანძილზე ათობით და ათობით ამერიკელმა და ბრიტანელმა ჯარისკაცმა იპოვეს ღმერთი და სულიწმიდაში მოინათლნენ ამ პატარა საბავშვო სახლში. ფაქტიურად მეც ბრიტანულ ჯარში ვიყავი და გამანაწილეს სუდანში. ალბათ იცით სად მდებარეობს სუდანი, ქვემოთ, თითქმის აფრიკის ცენტრშია. იქ მოვისმინე ერთი ჯარისკაცისგან: “თუ ნამდვილი კურთხევა გსურს, იერუსალიმის ჩრდილოეთით, 10 მილის მანძილზე არის ერთი პატარა საბავშვო სახლი და იქ წადი.“ ასე რომ, როცა მომიწია, ორ კვირიანი შვებულება ავიღე და გავიარე მთელი ეს გზა ნილოსით ქაირომდე, შემდეგ იერუსალიმში და ბოლოს მივედი იმ პატარა საბავშვო სახლში. მე მივიღე ჩემი კურთხევა.

მაგრამ ამ ამბის მთავარი არსი ესაა: შუა აღმოსავლეთის ტრადიციების და წეს-ჩვეულებების თანახმად იმ არაბ ქალებს არასოდეს მისცემდნენ იმის უფლებას, რომ მისულიყვნენ იმავე ადგილას, სადაც ბრიტანელი და ამერიკელი სამხედროები მიდიდოდნენ. ჩემს ცოლს რომ ეს ქალები არ გაეშვა, სხვები ვერ მოვიდოდნენ. მაგრამ როდესაც ჩვენ თვინიერებას ვიჩინებთ და ვთმობთ, ჩვენ უფრო წინ წავინევთ ხოლმე. ბევრი იმ სამხედროთაგანი, მათ შორის მეც, დღეს სრული დროის მსახურია მთელს მსოფლიოში, მისიონერები, პასტორები და ასე შემდეგ. ზოგი აქ, შეერთებულ შტატებშია. იცით რა, თქვენ მზად უნდა იყოთ გაუშვათ რაღაც. ეს შეიძლება უსამართლოა, არაგონივრული, გაუმართლებელი. მერე რა! ღმერთი განაგებს ამას. ის აკონტროლებს ყოველივეს.

თავი 5

აიყვანე უნი კი

კარგით. მოდით დავუბრუნდეთ დაბადების 22-ს. რომაელთა 4 თავი გვიამბობს ჩვენი მამის, აბრაამის რწმენის ნაბიჯების შესახებ. ერთი რამ, რაც ცხადი გახდა ჩემთვის ისაა, რომ რწმენა არ არის სტატიკური მდგომარეობა. ეს არ არის ეკლესიაში ჯდომა და გამეორება: “მე რწმენა მაქვს.“ რწმენა სიარულია, როდესაც ერთ ნაბიჯს მეორე მოჰყვება. აბრაამს ყველა მორწმუნის მამა ეწოდება, თუ დავდივართ მისი რწმენის ნაბიჯებით. აბრაამის რწმენა პროგრესირებადი იყო. თუ დააკვირდებით დაბადების მე-12 თავიდან 22-ე თავამდე, დაინახავთ აბრაამის რწმენის სხვა და სხვა მიღწევებს.

რასაც ის აკეთებდა 22-ე თავში, ვერასდროს გააკეთებდა მე-12 თავში. მისმა რწმენამ უდიდეს კულმინაციას მიაღწია, რადგან ყოველთვის, რასაც ღმერთი ეუბნებოდა, სწორედ იმ ნაბიჯებს დგამდა. ის ლებულობდა ყოველ გამონკვევას, რომელიც ღმერთისგან მოდიოდა. ამგავარად ის აშენდა. იაკობის ეპისტოლეში ნათქვამია, რომ საქმეებით მოხდა მისი რწმენის განვითარება და დახვეწა. რწმენის საჩუქრად მიღება შეიძლება, მაგრამ სრულყოფას ის მორჩილებაში სიარულით და ამ ნაბიჯების გადადგმით აღწევს.

ნება მომეცით მიგიითითოთ იმაზე, რაც შეიძლება ზუსტად არ ჯდება ჩემი ქადაგების თემაში, ან შეიძლება ჯდება კიდევ. ღმერთი აბრაამს შვილს დაჰპირდა. ის დაჰპირდა მემკვიდრეს და მემკვიდრეობას. მაგრამ როგორც იცით ეს ამბავი, აღთქმული აყოვნებდა. თორმეტი წლის შემდეგაც არ გაჩნდა მემკვიდრე. სარა სამოცდათვრამეტი წლის იყო და სიტუაციას უიმედოდ აფასებდა. მან თქვა: “თუ შვილის ყოლას ვაპირებთ, ჯობია რამე მოვიმოქმედოთ ამასთან დაკავშირებით.” იცით, რომ სულიერობასთან მიმართებაში ყველაზე უფრო კატასტროფული სიტყვები, რომელიც კი ოდესმე შეიძლება ნარმოვთქვათ არის - “ჯობია რამე მოვიმოქმედოთ ამასთან დაკავშირებით.” ამგვარად, აბრაამმა გაითვალისწინა თავისი ცოლის რჩევა და მათ შვილი სარას მსახურის, ჰაგარის მეშვეობით იყოლიეს. თან ამაში არაფერი ამორალური არ იყო. იმ დროის სტანდარტებით ეს იყო სწორი, მორალურად დასაშვები და გამართლებული. მაგრამ ეს არ იყო ღმერთის ნება. ამ ბავშვის სახელი ისმაელი იყო. სწორედ ისმაელია შუა აღმოსავლეთის არაბთა წინაპარი.

როდესაც ამაზე ვფიქრობ, ვამბობ: “ლმერთმა ნუ ქნას ოდესმე შემეძინოს ისმაელი.“ რადგან უკვე ოთხი ათასი წელია ისმაელი და მისი შთამომავლები არიან ლმერთის კურთხევების მთავარი წინაღობა, რომელიც აბრაამზე, ისააკზე და მათ შთამომავლებზე უნდა ყოფილიყო და დღემდე აფერხებენ მას. თუ აქედან ვერაფერი ვისწავლეთ, ესე იგი სწავლის უნარი არ გვქონია.

ჩემი მეგობარი ჩარლზ სიმფსონი ამბობს ასეთ რამეს: “ადამიანური მიზანშეწონილობის შვილია ისმაელი.“ როდესაც გადაწყვეტ, რომ უმჯობესია რამე მოიმოქმედო ლმერთის დასახმარებლად, მართლაც ლმერთის დახმარება გჭირდება. შარშან მე რაღაცას ვგეგმავდი და საკმაოდ შორს წავედი ჩემს გეგმებში. მნიშვნელობა არ აქვს, რას ვგეგმავდი. შემდეგ მე მოვხვდი ბობ მამფორდთან ერთად და ჩვენ ამის ირგვლივ ვსაუბრობდით, მაშინ ვუთხარი: “სიმართლე გითხრა, არ მგონია ეს გავაკეთო.“ მან მკითხა: “კი მაგრამ, რატომ?“ მე ვუთხარი: “ვშიშობ, ეს ისმაელი იქნება. მე არ მინდა იძულებული ვიყო ჩემს ისმაელთან ერთად ვიცხოვრო.“ დავინახე, რომ ბობზე ამან შთაბეჭდილება მოახდინა და მოგვიანებით, როდესაც კვლავ შევხვდით, მან მითხრა: “არ მეტყვი რატომ გადაიფიქრე ამის გაკეთება? რამ გადაგაფიქრებინა?“ მე ვუთხარი: “ეს უფლის შიში იყო.“ დავინახე, რომ პასუხმა დააკმაყოფილა. მე ვცდილობ უფლის მოშიშობაში ვიცხოვრო. მე არ მინდა რამე ისეთი გავაკეთო, რაც ლმერთს დაანაღვლიანებს ან მის გზას გადაკვეთს. მე მინდა ფაქიზად ვიარო უფალთან ერთად. ასე რომ, მოვათავსე ჩემი ისმაელი მოლოდინის ფაილში, სადაც დღემდე რჩება. მაგრამ ჩემთვის გაკვეთილი ამაში მდგო

მარეობს: ის, რაც გვგონია კარგი, რაც მიგვაჩნია მართებულად და რაც კარგის გაკეთების, ადამიანური მცდელობის შედეგია, სინამდვილეში უდიდესი კატასტროფაა. ღმერთმა დაგიფაროთ ამისგან. ღმერთმა დამიფაროს ასეთი რამისგან. ღმერთმა დაგიცვათ ამისგან. ღმერთმა დაიფაროს ტენესის ბანაკი ჯორჯიაში, ისმაელის გაჩენისგან. იმიტომ რომ, დებო და ძმებო, თქვენ მთელი ცხოვრება სანანებელი გექნებათ. მე არაფერი არ მაქვს მხედველობაში, რადგან წარმოდგენა არ მაქვს თქვენი გეგმების და ზრახვების შესახებ, მაგრამ ერთი კი ვიცი, რომ ვინც ისმაელი შვა, მან კატასტროფა გამოიწვია.

რა არის ყველაზე დიდი გამოცდა, რომელშიც ღმერთი გვატარებს? ერთი სიტყვით მას ლოდინი ეწოდება. თუ ღმერთმა გითხრათ, რომ მთაზე უნდა ახვიდეთ, თქვენ ახვალთ მწვერვალზე. თუ ღმერთი გეუბნებათ მთის ძირში იჯექი და დარცადეო, არ შეგიძლიათ ამის შესრულება. ასე არ არის? რწმენის უდიდესი გამოცდა - ლოდინია. ბიბლიის გმირთა შორის ალბათ ყველაზე უფრო დახვეწილი, ჩამოყალიბებული პიროვნება მოსე იყო. როგორ მიაღწია ამ დახვეწილობას, სულიერ სიმწიფეს? ორმოცი წელი უდაბნოში. გინდათ მოსეს დაემსგავსოთ? რა სიკეთე მისცა ამან მოსეს? მოსე - ყველაზე თავმდაბალი ადამიანი დედამიწაზე. მოსეს არასოდეს მოუთხოვია თავისი უფლებები. ის ყოველთვის განზე დგებოდა, რათა სხვისთვის მიეცა რაიმეს კეთების საშუალება. მე უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს, როდესაც შემიძლია ვთქვა მთელი გულწრფელობით: “დაე სხვას მისცენ ბავშვი.” მე ისე მშვიდად ვგრძნობ თავს. მაგრამ როდესაც ვწერვი ულობ, დაძაბული ვარ და რაღაცას

ვებლაუჭები, უბედურებისკენ მივექანები.

კარგით. დაბადების 22 თავი 2 მუხლი. ღმერთმა უთხრა აბრაამს:

“...აიყვანე შენი ერთადერთი ვაჟი ისაკი, რომელიც ძალიან გიყვარს, და წადი მორიას ქვეყანაში, და შესწირე იგი სრულადდასანველად ერთ მთაზე, რომელსაც გეტყვი.”

იმ ადგილიდან, სადაც აბრაამი ცხოვრობდა, მორიას მთამდე სამი დღის სავალი იყო. ერთი რამ, რაც აღსანიშნავია აბრაამის შესახებ, უბრალოდ კი არ დაემორჩილა ღმერთს, ის დაუყოვნებლივ, მაშინვე დაემორჩილა. ეს ძალიან თვალსაჩინოა. როგორც კი მოისმინა, რა უნდა გაეკეთებინა, ის დილით ადრე ადგა და შესრულება დაიწყო. მან არ გააჯანჯლა შუადღემდე იმ იმედით, რომ იქნებ და გადაეფიქრებინა ღმერთს. მეორე დღესვე ის ადგა და ისააკთან ერთად მორიას მთისკენ გაეშურა. იცით ეს ამბავი. ისინი ავიდნენ მთაზე და ისააკმა უთხრა: *“მამა, აჰა ცეცხლი და შეშა აქ არის, მაგრამ სადაა კრავი სრულადდასანველად?”* და აბრაამმა უთხრა: *“ღმერთი გამოიხატავს თავისთვის კრავს, შვილო.”* ხოლო ებრაელთა 11 თავში ნათქვამია: *“რწმენით მიჰყავდა აბრაამს სამსხვერპლოდ თავისი ძე ღმერთისთვის შესანიშნავად, რადგანაც სწამდა, რომ ღმერთს მკვდრებით აღდგენის ძალაც შესწევს.”*

თუ გულდასდმით წაიკითხავთ დაბადების 22 თავს, აღმოაჩინებთ რატომ წერს ამას ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი. რადგან აბრაამმა უთხრა ისააკს: *“შვილო, ავალო, თაყვანს ვცემთ და დავბრუნდებით.”* კურთხეულია ღმერთი. მას მართლა სწამდა, რომ მას შემდეგაც კი, როცა დანას გაუყრიდა თავის შვილს, ისინი მაინც

დაბრუნდებოდნენ მთიდან. ის მივიდა იმ ადგილზე, სადაც მართლაც მზად იყო მოეკლა სასწაულის შედეგად მოვლენილი შვილი, რომელიც ღმერთის დანაპირები მემკვიდრეობის ერთადერთი იმედი იყო. როგორც კი აღმართა დანა, ღმერთი დაელაპარაკა ზეციდან. აი, იმის ნაწილი, რაც ღმერთმა თქვა. უფლის ანგელოზი მეორედ დაელაპარაკა მე-15 მუხლში:

“უფლის ანგელოზმა მეორედ მოუხმო ზეციდან აბრაამს. და უთხრა: თავს გეფიცები, (ებრაელთა წერილის ავტორი ამბობს: რაკი არ შეეძლო, ვინმე თავისზე დიდი დაეფიცა, საკუთარი თავი დაიფიცა.) ამბობს უფალი, რაკი ეს საქმე გააკეთე, რაკი მხოლოდშობილი შენი ძე გამოიმეტე ჩემთვის, კურთხევით გაკურთხებ და გაგიმრავლებ შთამომავლობას ცის ვარსკვლავებივით...”

უცნაური რამაა, არა? ისააკი ღმერთის საჩუქარი იყო აბრაამიასთვის და სარასთვის. მათ ვერასოდეს ეყოლებოდათ ის, რომ არა ღმერთის სასწაულებრივი ჩარევა. ის ზებუნებრივად დაიბადა და სწორედ ეს ბავშვი, რომელიც ღმერთმა მისცა მათ, ღმერთმა უკან მოთხოვა სრულადდასანველ მსხვერპლად.

წიგნის გამო, რომელსაც ვწერ, რომელიც არ არის ამ ქადაგების ნაწილი, სულ ვფიქრობდი მორიას მთისკენ მიმავალ აბრაამის შესახებ. ვცდილობდი ჩემი თავი წარმომედგინა მის მდგომარეობაში და გამეაზრებინა თუ როგორ მსჯელობდა, რას ფიქრობდა ამ სამდღიანი მგზავრობისას. რად უნდა ღმერთს ისაკი? ღმერთმა არ მოგვცა ისაკი? ის არ არის ალტეჰმის ძე? განა ის არ არის ერთადერთი საშუალება, რომ მივიღოთ ღვთისმიერ ჩვენთვის ალტეჰმული მემკვიდრეობა? განა ყველაფერი არ დავთმეთ?

ხომ მივყვებით მას ყველაფერში? განა არ ვემორჩილებით? რატომ უნდა მოეთხოვა ისაკი? მე არ ვიცი, ის სინამდვილეში თუ ამბობდა ან ფიქრობდა ასე. მაგრამ, როდესაც ის მივიდა იმ ადგილას, სადაც მზად იყო აღესრულებინა ღმერთის ბრძანება, ღმერთი დაელაპარაკა და უთხრა: *“კარგი, ახლა ვიცი. ამიერიდან, აბრაამ, მე გაკურთხებ ისეთი კურთხევით, რომელიც მანამდე არასოდეს ყოფილა შენზე და გავიმრავლებ შთამომავლებს, შენს თესლს.”* რა იყო ეს თესლი? ისაკი. ხედავთ გაკვეთილს? ის რომ ჩაჭიდებოდა ისაკს, მას მხოლოდ ის ეყოლებოდა. როდესაც მან გაიღო ისაკი, მან მიიღო ის გამრავლებული უთვალავჯერ. მე დავინახე ეს ჭეშმარიტება. როდესაც ღმერთი გვაძლევს რაღაცას, ის ღვთიური, უძვირფასესი, უნიკალური, სასწაულებრივია. ერთ დღესაც ღმერთი გეტყვის: *“მე მჭირდება ეგ. დამიბრუნე. მოკალი ის. მომიტანე ის ჩემს სამსხვერუბლოზე.”* ამ დროს შენ ან აბრაამის ნაკვალევს გაყვები, ან ღვთის კურთხევას აცდები. და კვლავ, არცერთი კონკრეტული პიროვნება არ მყავს მხედველობაში, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ვნახე უფლის ბევრი მსახური, რომლებიც ამ მწარე შეცდომას უშვებენ ისაკის შენარჩუნებით და ერთადერთი, რაც მათ რჩებათ, არის ისაკი. ვფიქრობ უდიდესი ტესტი უფლის ნებისმიერი მასხურისთვის არის - მზად არის ის თუ არა, რომ სამსხვერუბლოზე მიიტანოს, დათმოს თავისი მსახურება.

ბევრმა თქვენგანმა იცის, მე ველურ მხეცებს ვებრძოდი ხსნის ჭეშმარიტების გამო. ხალხი სამხრეთ კალიფორნიიდან ისე მიყურებდნენ, თითქოს ორთავიანი ვიყავი. მახსოვს ახალგაზრდა კალიფორნიელი მამაკაცი, ის ფორტ

ლაუდერდეილში ცხოვრობდა ორი თვის მანძილზე და ერთ დღესაც მითხრა: “ძმარ პრინს, მე გადავწყვიტე, რომ მივანდო ჩემი თავი თქვენს მსახურებას.“ ვფიქრობ, მას სჯეროდა რომ ის ძირს დაეცემოდა. მე მაშინ ვერ მივხვდი, მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩინე, რა სახელი მქონდა სამხრეთ კალიფორნიაში. და მაინც, მე ვამბობ რომ მიწვედა ბრძოლა სულების განთავისუფლებისთვის ქეშმარიტებაში. მე ვიბრძოდი ფიზიკურად, ვიბრძოდი სულიერად, ვიბრძოდი ლოცვებით, ვიბრძოდი მარხვით. მაგრამ დადგა დრო, როდესაც ღმერთმა დამაკავშირა სამ სხვა ძმასთან. არ მინდა ეს დიდ პრობლემად წარმოვაჩინო, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ეს მსახურება არაპოპულარულებს გვხდოდა. ეს უბრალოდ ხდება რათა აღსრულდეს ქეშმარიტება. მოსწონთ ეს ხალხს, თუ არა, ეს მოხდა. დადგა დრო ჩემს მსახურებაში, როდესაც ვუთხარი ამ ძმებს: “ძმებო, თუ მიიჩნევთ, რომ განთავისუფლების მსახურება, რომელსაც მე ვეწევი არანერლისეული ან არასწორია და თქვენთვის ის მიუღებელია, აღარ გავაგრძელებ ამ მსახურებას.“ თქვენ ფიქრობთ ეს არაფრად მიღირდა? ძვირად დამიჯდა. დიდებას ვუძღვნი ღმერთს, დღეს მე ალბათ აღარ მომიწევს ასეთი მსახურების გაძღოლა. ღმერთმა გაამრავლა, რაც მე შევწირე.

ახლა მე ძალიან პირადულს ვეხები, ამის თქმას არც კი ვაპირებდი. როდესაც ღმერთს ჩემი ისააკი გადავეცი, მან მიკურთხა და გამიმრავლა ის. დღეს მე შემოძლია წასვლა თითქმის ყველგან შეერთებულ შტატებში და განთავისუფლების ქადაგება და ჩემს გარდა არიან კიდევ ბევრი კვალიფიცირებული, ღმერთის

მიმართ მიძღვნილი ადამიანები, რომლებიც ამ მსახურებას გაუძღვებიან. მერნმუნეთ, ათი წლის წინ ასე არ ყოფილა. მჯერა, რომ არ დამეთმო ჩემი ისააკი, მე მხოლოდ პატარა ისააკი შემჩრჩებოდა და მეტი არაფერი.

მოდით შევხედოთ რა წერია იოანეს 12:24-ში. იესოს სიტყვები:

“ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ მინაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება. და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს.”

მე ყოველთვის ვუკავშირებდი ამ მუხლს ქრისტეს სიკვდილს. უდავოდ ეს ამასაც მიესადაგება. იესო იყო ხორბლის მარცვალი; მას სურდა სიცოცხლის გაღება, ის ჩავარდა მინაში; ის დაიმარხა. და თავისი სიკვდილით, დამარხვით და აღდგომით მან ბევრი ნაყოფი მოიტანა. ამიტომ ეს მისადაგება მართებულია. მაგრამ სულ ახლახანს, როდესაც იმ საკითხებზე ვფიქრობდი, რომელზეც ამ საღამოს გესაუბრებით, ხილვაში ვნახე საკუთარი თავი და ჩემი მეგობარი მორწმუნეები, თითოეულ ჩვენგანს ხელში ეჭირა პატარა მარცვალი, რომელიც ღმერთმა მოგვცა, ჩვენი ნიჭები, მსახურებები, ტალანტები, რაც უძვირფასესია, რადგან ღმერთმა მოგვცა ეს ყოველივე. თქვენ შეიძლება თქვათ, “ეს ჩემია, მე შემიძლია ამის გაკეთება. ვიცი როგორ ავუკრძალო დემონებს და გავდევნო ისინი. მე შემიძლია ავადმყოფებზე ლოცვა და ჩემი ლოცვის შედეგად ისინი ძირს დაცვივდებიან, ძმაო. მე მაქვს ცოდნის სიტყვა.” ისეთი სასიამოვნოა ამ ყველაფრის ფლობა, როდესაც გრძნობ ამას შენში და ფიქრობ, ეს ჩემია. მაგარამ ღმერთი გეუბნებათ, “თუ ამას ჩაეჭიდები

და არ დათმობ, მხოლოდ ეგ გექნება და მეტი არაფერი, მხოლოდ პატარა ხორბლის მარცვალი. შენ შეგიძლია შენი სახელი წაანერო ზედ, შენი მარკა დააკრა, მაგრამ ვერასოდეს მის გარდა სხვა ვერაფერს ვერ მიიღებ.“

რა არის ალტერნატივა? გაუშვით, დააგდეთ ის. “შენ გულისხმობ, რომ ჩემს მსახურებას უნდა გავუშვა ხელი? ჩემს ნიჭს? ჩემს შესაძლებლობებს?” გაუშვით! დაე ჩავარდეს მიწაში, დაიმარხოს და თვალს მოეფაროს. თქვენს მფლობელობაში აღარ იქნება, მაგრამ რაღაც უნდა გითხრათ, ღმერთი აიღებს მასზე პასუხისმგებლობას. ღმერთი იძლევა ნაყოფების გარანტიას. მჯერა ამ მიმართულებით მივდივართ. მაგრამ მრავალ ჩვენგანს მოუწევს ამ არჩევანის წინ დგომა. მსურს საკუთარი თავის წარმოჩენა, სახელის დამკვიდრება? რა მინდა შევიქმნა, ჩემი მსახურება საკუთარი განსაკუთრებულობის წარმოსაჩენად, ჩემი ბანაკი, ჩემი ახალგაზრდული ცენტრი, სულებისგან განთავისუფლების ცენტრი, ის მაინტერესებს, რომ ეს ჩემია? თუ, როცა, თუნდაც უსამართლოდ, მედავებიან ვის ეკუთვნის ეს მსახურება, მზად ვარ ცრუ დედას ვუთხრა: “შენ წაიყვანე.” მე ის მიყვარს, თუ საკუთარი თავი? ეს ღრმად გამოსაკვლევი საკითხია. მწამს, რომ რაც არ უნდა მოეცა ღმერთს თქვენთვის, დადგება დრო, როცა ის მოგთხოვს მისთვის ხელის გაშვებას, განზე გადგომას, რომ ის ჩავარდეს. კურთხეულია უფალი. ვხედავ, რომ ზოგიერთებს ეს ქადაგება უყურადღებოდ არ დარჩება. მესმის თქვენი შინაგანი პასუხი სულში. დიდება ღმერთს, გიხარიათ, რომ ის უნდა გაუშვათ თქვენგან. მეც მიხარია, მეც გავუშვი რაღაცეებს ხელი. რომ გამეგრძელებინა მათზე

მობლაუჭება და მათი ტარება, ისინი საბოლოოდ დამცემდნენ და გამსრესდნენ.

თავი 6 თუ სორბლის მარცვალი...

ვფიქრობ ჩემს ნაცნობ მქადაგებლებზე, მე მათ შორის ყველაზე ნაკლებად დაკავებული ვარ. მე დაკავებული ვარ, მაგრამ ძალიან არა. იცით რა? ეს არასულიერია, როცა ძალიან დაკავებული ხარ. ღმერთმა შეგქმნა ერთ პიროვნებად და ვერასოდეს ვერ შეძლებ ორი ადამიანის საქმის კარგად გაკეთებას, როგორც არ უნდა ეცადო.

მე ჯეიმი ბაკინჰემის პატარა სტატია წავიკითხე მისი ეკლესიის საინფორმაციო ბიულეტენში, ის იყო მისი გადანიშნულებების შესახებ, დაანებოს თავი აუცილებელის კეთებას, იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი გააკეთოს. ხომ გესმით, მქადაგებლების უმრავლესობა იმდენად არიან შთაფლულნი აუცილებელ საქმეებში, რომ ისინი ვერასოდეს იცლიან მნიშვნელოვნის გასაკეთებლად. ბიბლიური ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვა არის 89-ე ფსალმუნი, *“ჩვენი დღეების დათვლა გვასწავლე, რათა შევიძინოთ ბრძენი გული.”* მასწავლე, როგორ გამოვიყენო ჩემი დრო. იცით, რომ იესო არასოდეს არ შფოთავდა, რომ ის არასდროს ჩქარობდა და არასოდეს იყო ძალიან დაკავებული? ეს ნამდვილად ჩემი ეგოს განვითარების ხელშეწყობაა, თუ შეუცვლელი ვხდები. ხალხის უმრავლესობას ნამდვილად არ სურთ უმნიშვნელო და ჩანაცვლებადები იყვნენ. შემოიძლია ითქვას, რომ ჩემი უდიდესი გამარჯვებაა, როდესაც რალაცის გაკეთებას ჩემს გარეშე ვახერხებ.

ამ შემთხვევაში ეს ჩემი წარმატებაა. მოკლე ისტორიას მოგიყვებით და დავასრულებ. ეს ნამდვილი ამბავია, ისეთი პირადული, რომ უნდა ვიფრთხილო. ზოგიერთ თქვენგანს უკვე მოსმენილი გაქვთ, სულ რამდენიმეს. მაგრამ მისი გავლენა მთელი ჩემი ცხოვრება მომყვება. 1970 წელის ივნისში მე გავემგზავრე სიეტლში, ვაშინგტონის შტატში მსახურთა მოზიარეობის შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად. დონ ბეშემი იყო იქ, ბობ მამფორდი, ჩარლზ სიმფსონი, რალფ ვილკერსონი, დევიდ დიუპლესი, დენის ბენეტი, ერში ცნობილი ბევრი ქარიზმატი მასწავლებელი. ორგანიზატორებმა ისე მოაწვეეს, რომ ჩვენ ერთი კვირის მანძილზე ვიყავით ერთად, ყოველ დილით და შუადღით ერთმანეთთან გვქონდა მოზიარეობა. კარგი გამოცდილება იყო. ჩვენ დღენახევარი გავატარეთ დემონებზე საუბარში. ორი დღე გავატარეთ საუბარში წყლით ნათლობის შესახებ. თუ ამ ორი პუნქტის განხილვა დაძლიეთ, ესე იგი, რაღაცას მიაღწიეთ, წარმატება გაქვთ. მაგრამ ამდენი მქადაგებლის შეკრება ასე შორს, შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, საკმაოდ ძვირი იყო. ორგანიზატორებს თანხა არ ჰქონდათ, ამიტომ მიგვიწვიეს და გვითხრეს: “ძმებო, ჩვენ არაფერს გპირდებით, მაგრამ ვეცდებით, რომ მოვიძიოთ ფული თქვენი ხარჯების დასაფარად.” ამ დანაპირების შესასრულებლად ისინი ყოველდღე ატარებდნენ საღამოს მსახურებებს. მათ ჰქონდათ ხუთი საქადაგებელი ადგილი სიეტლში და მის მახლობლად. ყოველ საღამოს, თითოეულ ამ ადგილას ორ ან სამ მქადაგებელს აგზავნიდნენ. ის ადგილები ყოველ საღამოს სრულად ივსებოდა ჯერ კიდევ მსახურების

დანყებამდე. ამ მსახურებებს ხალხის უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. მსახურთა მოზიარეობის მსახურების დამთავრების შემდეგ დავრჩი ღმერთის ასამბლეის ერთერთ ეკლესიაში, სიეტლში, მსახურების ჩასატარებლად შაბათ-კვირას. სიეტლში მოვისმინე მსახურთა საუბარი ერთ-მანეთთან, მანამდე პასტორი ვიყავი სიეტლში, ვცნობდი ბევრ მათგანს და ვიცოდი, რომ რაზეც საუბრობდნენ სიმართლე იყო. აი რას ამბობდნენ ისინი: ჩვენ არ გვახსენდება არცერთი მსახურება, რომელსაც ამხელა ზეგავლენა მოეხდინა ქალაქ სიეტლზე, როგორც ამ მსახურებებმა მოახდინა. სასაცილო ისაა, რომ ადამიანური თვალსაზრისით ეს მსახურებები არ იყო ორგანიზებული სიეტლზე გავლენის მოსატანად. ისინი იმისთვის იყო ორგანიზებული, რომ თანხები მოეძიებინათ მქადაგებლების ხარჯების დასაფარად, ესაა მარტივი ჭეშმარიტება. ასე რომ, ორშაბათს მე თვითმფრინავით სიეტლიდან ატლანტაში მივემგზავრებოდი, რადგან 1970 წლის ივნისში მე ატლანტაში უნდა ვყოფილიყავი მსახურებაზე. ზოგიერთი თქვენგანი იყავით იმ მსახურებებზე. როდესაც თვითმფრინავში ვიყავი, ხომ იცით, თვითმფრინავი კარგი ადგილია, ტელეფონით ვერავინ დაგიკავშირდება, ხალხიც არ განუხებს, ზიხარ შენთვის სავარძელში. ასეთი მედიტაცია მქონდა - სიღრმისეულად ფიქრის და ძიების დრო და ჩემთვის გავიფიქრე, “საოცარი არ არის? მსახურებებმა, რომლებიც არ იყო გამიზნული ქალაქზე ზეგავლენისთვის, უფრო მეტი შედეგი მოიტანა ქალაქისთვის, ვიდრე უშუალოდ ქალაქისთვის დაგეგმილმა მსახურებებმა.” როდესაც ასე ვიჯექი და ვფიქრობდი, უფალმა დაიწყო ჩემთან ლაპარაკი, ძალიან აშკარად,

არა ხმით და უღერადობით, ჩუმად, მაგრამ ძალზედ გარკვევით. აი, რა მითხრა. მე არ მოგთხოვთ დაიჯეროთ, რომ ნამდვილად ეს თქვა მან, მაგრამ მე უბრალოდ იმას გიყვებით, რაც და როგორც განვიცადე და აღვიქვი ეს მე. მან მითხრა: “ახლა ის მითხარი, ვისთან მქონდა მეტი პრობლემები, იონასთან, თუ ქალაქ ნინევიასთან?” ვუპასუხე: “უფალო, როდესაც შენ იონა გამოასწორე და მომართე, აღარ გქონდა პრობლემები ნინევიასთან.“ მან კი მიპასუხა: “აი, როცა მქადაგებლები გამოსწორდებიან და მოთვინიერდებიან, მე აღარ მექნება პრობლემები ხალხთან.“ შემიძლია ეს ისტორია მოგიყვეთ, რადგან მეც მქადაგებელი ვარ და მართლაც მწამს, რომ ეს ასეა.

შემდეგ, როდესაც ატლანტაში ჩავედი, ეს მეორე ნაწილია, რისი თქმაც მინდა თქვენთვის და ამით დავასრულებ. არ ვიცი, როგორ დავასრულო ქადაგება, რადგან ეს ფინალური ამბავია. მე ვრჩებოდი ჩემი მეგობრების სახლში ატლანტაში, რომლებიც შეიძლება ახლა აქ არიან, მაგრამ მსახურებები იმართებოდა სასტუმროში. მე ვასწავლიდი დილაობით და ვაგრძელებდი სწავლებას საღამოობით. შუადღით, სწავლების შუალედში, სახლში რომ არ წავსულიყავი, მეგობარმა, რომელიც სასტუმროში ცხოვრობდა, მითხრა: “შეგიძლია ახვიდე ჩემს ნომერში და ჩემს საწოლზე მოისვენო.“ ასე რომ, მსახურებებს შორის შუალედში, ვინეტი იმ საწოლზე სატუმროს ნომერში და ჩემი გონება ასე თუ ისე, ნათელი იყო. აღმოვაჩინე, რომ როდესაც ჩვენი გონება არ არის გადატვირთული ბევრი საფიქრალით, ღმერთს უფრო ადვილად შეუძლია ჩვენი ყურადღების მიპყრობა. ასეთ მდგომარეობაში

მარეობაში ვიყავი, როდესაც შემდეგი სიტყვები მომივიდა, თანაც ისე ცხადად და აშკრად, თითქოს ფურცელზე ამობეჭდილი იყო. მე ისინი უნდა დამემახსოვრებინა და გამეგო. აი ეს სიტყვები: *“ქერთიდან ცარფათამდე, ცარფათიდან ქარმელამდე, ქარმელიდან ხორებამდე. ხორებიდან მრავალის სიცოცხლემდე.”*

მე საკმარისად ვიცოდი ბიბლია მაშინვე მივმხვდარიყავი, რომ ეს ელიას უკავშირდებოდა. რომ ეს ელიას მოღვაწეობის სხვა და სხვა ეტაპები იყო ქერთიდან ცარფათამდე, ქარმელამდე და შემდეგ ღვთის მთამდე, ხორებამდე. დავიწყე ამ დეტალების ჩამოთვლა და სრულიად ცხადი იყო, რომ ელიას საზოგადოებრივ ანუ თვალსაჩინო მსახურებაში კულმინაცია იყო ქარმელის მთა. სწორედ იქ შეკრიბა მან მთელი ისრაელი, იქ დაამარცხა 850 ცრუ წინასწარმეტყველი, იქ გამოიხმო ცეცხლი ზეციდან და მთელი ისრაელი პირქვე დაემხო და ყვიროდა *“ღმერთია უფალი! ღმერთია უფალი!”* თუ კი ოდესმე რომელიმე ადამიანს ჰქონია პირადი, ინდივიდუალური ტრიუმფი, ეს ელია იყო ქარმელის მთაზე, მაგრამ შემდეგ უფალმა მაჩვენა, რომ სულ რაღაც სამ დღეში ელია გარბოდა ჯადოქარი იზებელისგან. ის ღმერთს სთხოვდა, წაეღო მისი სიცოცხლე. ქარმელის ტრიუმფი ძალიან ხანმოკლე და დროებითი აღმოჩნდა. ასეთი აზრი მომივიდა თავში, ვთქვათ ღმერთს ეპასუხა ელიას თხოვნაზე და იმ დროს მიებარებინა მისი სული, ელია ყოველგვარი სულიერი წარმატებისა და მემკვიდრის გარეშე მოკვდებოდა. ვერავინ გააგრძელებდა და დაასრულებდა მის გასაკეთებელს. მაგრამ როდესაც მან ხორებამდე მიაღწია და ღმერთის პირისპირ

აღმოჩნდა, მოისმინა ღმერთის გეგმები, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა მისი გეგმებისგან. ღმერთმა ჰკითხა: *“აქ რა გინდა, ელია?”* მან კი უპასუხა, *“უფლის შურმა შემოიპყრო...“* უფალმა უპასუხა მის გრძლად ნაამბობზე: *“ვიცი ამ ყველაფრის შესახებ, ელია, მაგრამ აქ რას აკეთებ?”* როცა ელიამ დაამთავრა უფლისთვის იმ ყველაფრის ჩამოთვლა, რისი გაკეთებაც მოუწია, უფალმა უთხრა თუ რა სურდა, რომ ელიას გაეკეთებინა. მან უთხრა: *“მინდა სამ კაცს სცხო. ელისეს, შენს ნაცვლად წინასწარმეტყველად, ხაზაელს სირიის მეფედ და იეჰუს ისრაელის მეფედ.“* თუ ნაიკითხავთ მეფეთა წიგნის მომდევნო თავებს, ნახავთ, რომ ამ სამმა კაცმა, რომლებიც ღმერთსა და ელიას შორის ხორების მთაზე გამართული საუბრის შედეგი იყვნენ, აღასრულეს ყველა ის ამოცანა, რომელიც ღმერთმა დაუდგინა ელიას, ყველაფერი, რაც მას უნდა გაეკეთებინა. ის მარტო ვერ შეძლებდა ყველაფრის გაკეთებას. მაგრამ მან შეძლო მემკვიდრეების მოძებნა და ყველაფრის მათთვის გადაცემა.

ეს ძალიან პირადულია და შესაძლოა ბოლომდე ვერც კი ჩაწვდი ამას. მაგრამ ვიცი, რომ ღმერთი მელაპარაკებოდა და ღმერთმა მაჩვენა, რომ მე მქონდა ორი არჩევანი წინ. შემეძლო გამეგრძელებინა ჩემი საკუთარი რალაცის კეთება, ჩემი საკუთარი მსახურების აშენება, იმ რწმენის და ძალის გამოყენებით, რომელიც ღმერთისგან მაქვს მოცემული იმდენად, რამდენადაც ჩემი შესაძლებლობები მომიცემდა ამისც უფლებას და შემეძლო რალაც დონეზე პირადი გამარჯვება და ტრიუმფიც მეგემა, მაგრამ მაშინ მე დავასრულელებდი მემკვიდრის გარეშე და

ჩემი მსახურების ნაყოფი ვერ იქნებოდა მუდმივი. ხოლო ალტერნატივა, რომელიც ღმერთმა მიჩვენა, ასეთი იყო - ნუ იქნები ამბიციური საკუთარი თავისთვის, ნუ წარმოაჩენ საკუთარ მსახურებას, შენით ნუ გააკეთებ რაღაცას. გააკეთე ინვესტირება სხვების ცხოვრებაში. მიეცი მათ საშუალება მოიპოვონ ნდობის კრედიტი. ნება მიეცით მათ დაიპყრონ ის, რისი დათმობაც შენ მოგინია. მიეცი საშუალება უფრო წარმატებულები გახდნენ, ვიდრე შენ იყავი. მე ვთქვი: "დიდება ღმერთს, იმედია მართლაც იქნებიან" ეს მართლაც მთელი გულით ვინატრე. მე ყოველთვის ვიყავი გარკვეულწილად წარმატებული ადამიანი. მე ამას სატრაბახოდ არ ვამბობ, მაგრამ წარსულში, ჯერ კიდევ ცხრა წლის ასაკში, თანატოლებში მეთაური ვიყავი, სკოლაში კაპიტანი, საუკეთესო სტიპენდიანტი, ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი კოლეჯში და ასე მთელი ცხოვრება. შინაგანად გამჯდარი მქონდა მოლოდინი, რომ წარმატებული უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ ღმერთმა მაჩვენა, რომ არსებობს წარმატების უფრო მაღალი სტანდარტი. გავუშვათ ამ პატარა ხორბლის მარცვალს ხელი, რომ ის მიწაში ჩავარდეს და მოკვდეს. ღმერთი იზრუნებს შედეგებზე. შემიძლია გითხრათ, რომ ალბათ ამ შენობაში ყველაზე თავისუფალი პიროვნება ვარ, რადგან მე ამ მარცვალს ხელს ვუშვებ და დანარჩენს ღმერთს ვანდობ. არ მაღელვებს, თუ აღარასდროს მომიწევს კიდევ ერთი დემონის განდევნა. თუ კი ღმერთს არ სურს, რომ ეს მე გავაკეთო, არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო. გეტყვით, რომ ისინი, ვინც ამისთვის მაკრიტიკებენ, ბევრად უფრო დემონური აზროვნების არიან, ვიდრე მე. თუ არასოდეს

მომინევს წიგნის დაწერა ან ღმერთი მიმითითებს, რომ საზოგადოების თვალთახედვიდან უნდა გავუჩინარდე, ჩემთვის ეს მისაღებია. რადგან, რაც გამაჩნდა ის ჩემი წვლილი და ინვესტიცია ჩავდე სიკეთის გასაკეთებლად, არც კი ვიცი რამხელაა ეს წვლილი და არ არის საჭირო, რომ ვიცოდე. მაგრამ რაც კი გამაჩნია, მსურს გავიღო. მზად ვარ ხორბლის მარცვალივით ჩავაგდო და ამ საღამოს ბედნიერი ვარ, რომ მართლაც თავისუფალი ვარ. ვგულისხმობ, რომ ვიცი რა არის თავისუფლებაში მოქმედება და ვიცი რა არის თავისუფლების ქადაგება. მაგრამ ყველაზე საუკეთესო არის - იყო თავისუფალი. მე კი მართლაც ამ საღამოს, ღმერთის წინაშე შემძლია გულწრფელად ვთქვა: “მე თავისუფალი ვარ.”

თჰი 7

უფლება მიეცი ნავიღს

კიდევ ხუთი წუთი მომეცით და დავასრულებ. ჩამაფიქრა სიტყვამ - საიდუმლო. 1 კორინთელთა 2თავი, რომლის თანახმადაც ვქადაგებ ჩემს სემინარზე - ღვთის დაფარული სიბრძნე საიდუმლოებაში. ფსალმუნის 50; *“ყველაზე მეტად მსურს ჭეშმარიტება შინაგანში. და საიდუმლო ადგილას შენ ინებე, რომ გამეგო სიბრძნე.”* და 90 ფსალმუნი: *“უზენაესის საფარქვეშ (საიდუმლო ადგილას) დამკვიდრებული ყოვლის შემძლის ჩრდილქვეშ ისვენებს.”* ეს მშვენიერი ადგილია, საიდუმლო ადგილი, საიდუმლო ცოდნა, საიდუმლო სიბრძნე. მაგრამ მოგეხსენებათ, თუ რაიმე საიდუმლოა, ის დაფარული, დამალულია.

თუ გსურთ საიდუმლო ადგილზე, საფარქვეშ დამკვიდრდეთ, მზად უნდა იყოთ და უნდა გსურდეთ არა გამოჩენილი არამედ მიმაღული, დაფარული იყოთ. თქვენი საკუთარი პიროვნულობა, თქვენი სახელი, თქვენი ეგო უნდა გადადოთ, მოიშოროთ.

ცოტახნით დაფიქრდით იესოს სიცოცხლეზე. მას შემდეგ, რაც კაცად მოეწვინა, მან დაახლოვებით ოცდაათი წელი გაატარა სრულყოფილ ოჯახურ ცხოვრებაში. სამწელიწადნახევარი კი საზოგადო, თვალსაჩინო მსახურებაში და თითქმის ორი ათასი წელი შუამდგომლობაში. თქვენ მზად ხართ ასეთი გადანაწილებითვის? გესმით? ხალხი, რომელიც ქვეყნიერებას ღმერთისკენ მომართავს არიან შუამდგომლები. მათი უმრავლესობა სრულიად უცნობია საზოგადოებისთვის. მზად ხართ გაერიდოთ, შეუმჩნეველი გახდეთ? ბოლოს როდის წარსდგა იესო ქვეყნიერების წინაშე? სად? ჯვარზე. კარგით. როდის გამოჩნდა ის კვლავ დედამიწაზე, როგორ გამოჩნდა? მისი მონაფეების მსახურებაში. ის მიწაში ჩავარდა, მოკვდა და ნაყოფი გამოიღო. მზად ხართ თქვენც ეს გააკეთოთ? მე მზად ვარ ამის გასაკეთებლად? ამ საღამოს შენს ისააკს ხომ არ ებლაუჭები? “ღმერთო, ხომ შენ მომეცი, ის ჩემია.“ ღმერთი ამბობს: “*და-მიბრუნე ის. მოიტანე ის სამსხვერპლოზე. აიღე დანა. თუ შენ მას მე გადმომცემ, ისე როგორც მე მიხდა, იმ დროს როცა მე მსურს, როდესაც მე მანყობს, მე მას მაზე მეტად ვაკუროთებ და გავამრავლებ ისეთი კურთხევით, რომელიც შენს შესაძლებლობებს, გაგებას და აღქმას აღემატება.*“

წლების წინ ვუთხარი უფალს:

“რომ შემედლოს აღარასოდეს ვიქადაგებდი უბრალოდ რელიგიურ ლექციებს.“ მაგრამ როდესაც რაიმეზე ვქადაგებდი, ვაძლევდი ხალხს შესაძლებლობას ემოქმედათ ღვთიური ქვშმარიტების თანახმად. ამ საღამოსაც ვგრძნობ, რომ თქვენთანაც ვაძლევდი ვარ იგივე გავაკეთო. არ მინდა ვინმეზე ზენოლა მოვახდინო, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ამ ეკლესიაში არც თუ ცოტაა ისეთები, ვინც თავიანთ ისააკებს ეჭიდებიან. “ის ჩემია, ღმერთო, მე ავაშენე. მე დავაფუძნე.“ შეიძლება შენი ისააკი მართლაც პატარა ბავშვია და შენ ხელს არ უშვებ მას. ღმერთი გეუბნება: “გაუშვებ მას ხელს, მიმიშვებ მასთან?“ ეს შეიძლება რაიმე ნიჭი, რომელიმე მსახურება, რაღაც სიტუაცია იყოს.

თუ ამ საღამოს ღმერთი ნამდვილად დაელაპარაკა შენს გულს, მსურს მოგცეთ შესაძლებლობა მოიყვანეთ თქვენი ისააკი სამსხვერპლოზე. უბრალოდ, როდესაც ლოცვით წარვდგებით უფლის წინაშე, ყოველგვარი ზენოლის გარეშე, თუ ღმერთი დაგელაპარაკათ ამ საღამოს, წამოდექით, გამობრძანდით წინ, დაიჩოქეთ სცენასთან და გადაეცით ღმერთს თქვენი ისააკი. შემდეგ მინდა ვთხოვო ჯეის, რომ ლოცვით დაასრულოს ეს მსახურება. ამას გეტყვით მხოლოდ, მსახურების სრულად დასრულების შემდეგ სცენაზე მზად ვიქნები ხანმოკლე პირადი მსახურების გასაწევად. თუ გენდომებათ გამოსვლა, არავითარ უხერხულობას ეს არ შეუქმნის სხვა აქტივობებს, მსურს რამდენიმე ადამიანისთვის ვილოცო დღეს. განსაკუთრებით განკურნებისთვის, თუ თქვენ გრძნობთ, რომ ეს თქვენი საღამოა და მე ღმერთის ინსტრუმენტი ვარ, რომლის გამოყენებაც ღმერთს სურს. ნუ გამოხვალთ

სანამ არ იგრძნობთ აღძვრას შინაგანად, რომ გამოხვიდეთ. მანამდე კი ისინი, ვინც საჭიროებს ისააკის მიყვანას სამსხვერპლოზე, ნუ ნახვალთ აქედან ვიდრე ღმერთს არ გადასცემთ თქვენს ისააკს.

ახლა ვილოცებ თქვენთვის. “ღმერთო, დარწმუნებული ვარ ამ საღამოს აქ ბევრია ისეთი, ვინც უბედური და გაღიზიანებულია, რადგან საკუთარ ნებას ამკვიდრებენ და აცხადებენ რომ რაღაც, რაც შენ მიეცი, მათ ეკუთვნით. ეს შეიძლება მსახურება ან ნიჭია. ეს შეიძლება რაღაც სიტუაციაა, ან პიროვნება. უფალო, უბრალოდ ვლოცულობ, რომ დღეს შენმა სულიწმიდამ მიანიჭოს მადლი ამ ხალხს, რომ ხელი გაუშვან და მოიყვანონ ეს ისააკი, შენს ხელთ გადმოგცენ და მოგენდნონ შედეგებთან დაკავშირებით. იესოს სახელით, ამინ.”

THE GRACE OF YIELDING
Derek Prince

თვინიერების მაღლი.
დერეკ პრინსი

მთარგმნელი ნინო სულიაშვილი
ნიგნი დასაბეჭდად მოამზადა
შმაგი ჭანკვეტაძემ
თბილისი 2015 წ.

